პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

4 ივნისი, შაბათი, 1988 წ.
№ 108 (9775) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## სტარტზეა მუშათა სპარტაკიადა

**ეს** ასპარეზობა, რომლის სრული სახელწოდებაა პროფკავშირების რესპუბლიკური მუშათა სპარტაკიადა, წელს პირველად შევიდა რესპუბლიკის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში. შეჯიბრება ოთხ ეტაპად ჩატარდება. ფინალური ეტაპი დამთავრდება 1989 წლის ივნისში.

საქართველოს პროფსაბჭოში გაიმართა სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის პირველი სხდომა, რომელზედაც მოწვეული იყვნენ ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების, პროფკავშირების დარგობრივი კომიტეტების, სპორტული ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები. სხდომის შედეგები შეაჯამა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა გ. შულაროვმა.

### ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშები

## დარჩა ორი ეტაპი

**VI ეტაპი.** თბილისი — ანანური — თბილისი (120 კილომეტრი). საშუალო სიჩქარე — 40,90 კმ საათში.

1. ვიტალი ბარსუკოვი (უკრაინა), 2. დიმიტრი ჩერკაშინი (რუსეთის ფედერაცია), 3. ანდრეი სვირიდოვი (რსფსრ, გორკი). დრო სამივეს ერთნაირი აქვთ—2:56.02... 14. მამუკა შუბითიძე (საქართველო) — 2:56.09... 14. ვასილი დავიდენკო (საქართველო) 2:56.10... 37. გარი კეხბა (საქართველო) — 2:56.10.



**გუნდური ჩათვლა.** 1. უკრაინა, 2. რუსეთის ფედერაცია, 3. მოსკოვი (დრო სამივე გუნდს ერთნაირი აქვს) — 8:48.21. 4. საქართველო — 8.48.29, 5. ლენინგრადი — 8:48.29, 6. მოლდავეთი — 8.48.30.

**ექვსი ეტაპის ჯამში.** 1. ვიქტორ სოლოვიოვი (უკრაინა, ხარკოვი)—17:26.17, 2. ვასილი დავიდენკო (საქართველო) — 17:26.18, 3. სერგეი სპირიდონოვი (რუსეთის ფედერაცია, გორკი) — 17:27.02, 4. გარი კეხბა (საქართველო) — 17:27.07, 5. ვიქტორ ოვანესიანი (საქართველო) — 17:27.22, 6. ევგენი კოშევოი (ბელორუსია) — 17:27.34.

მრავალდღიანი ველორბოლის დამთავრებამდე ორი ტურიღა დარჩა, მაგრამ მეექვსე ეტაპის შემდეგაც არსებითი ცვლილება ლიდერთა განლაგებაში არ მომხდარა. გუნდურ ჩათვლაში წინ კვლავ საქართველოს კოლექტივია, პირადში კი ხარკოველი ვიქტორ სოლოვიოვი, რომელსაც ვასილი დავიდენკო მხოლოდ ერთადერთი წამით ჩამორჩება. ველოსპორტში ეს იმდენად უმნიშვნელო სხვაობაა, რომ შეიძლება ვთქვათ დავიდენკო ლიდერს დაეწია.

ბრძოლის სიუჟეტს მეექვსე ეტაპზე ლიდერთა და ჯგუფის დანარჩენ წევრთა ურთიერთობა განსაზღვრავდა. რბოლაში მონაწილე ყველა კოლექტივს ერთი ორიენტირი აქვს — საქართველოს ნაკრები. ჩვენი გუნდის ნებისმიერ მანევრს მეტოქეები მკაცრად აკონტროლებენ და შეძლებისდაგვარად ცდილობენ არავითარი გამორჩეთ მხედველობიდან.

ანალოგიური მდგომარეობაა პირად ჩათვლაში მოასპარეზეთა შორისაც. ვიქტორ სოლოვიოვი და ვასილი დავიდენკო თვალს არ აცილებენ ერთმანეთს. ლიდერთა ამ დავაში უშუალოდ არიან ჩართული საქართველოს გუნდის წევრები გარი კეხბა და ვიქტორ ოვანესიანი, გორკელი სერგეი სპირიდონოვი, ბელორუსიის წარმომადგენელი ევგენი კოშევოი.

სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ მეექვსე ეტაპზე ვერც ერთმა მონაწილემ ვერ გაბედა დაწინაურებაზე ფიქრი. იყო ცალკეული მცდელობა, მაგრამ ჯგუფი წინ წასულებს უმალ ეწეოდა. ფინიშზე ლიდერებს მაინც და მაინც არ შეუწუხებიათ თავი, ვინაიდან ვერც ვიტალი ბარსუკოვი, ვერც დიმიტრი ჩერკაშინი და ვერც ანდრეი სვირიდოვი საშიშროებას მათ ვერ შეუქმნიდნენ.

ამ სამეულმა საკონტროლო ხაზი სხვებზე ადრე გადაკვეთა, მაგრამ, ლიდერებმა მათთან მხოლოდ რვა წამი წააგეს. ერთი სიტყვით, ექვსი ეტაპის შემდეგ საქართველოს გუნდი და მისი დაწინაურებული წევრები წარმატების შანსებს ინარჩუნებენ.

**გუშინ VII ეტაპი (თბილისი — კოდა — ასურეთი — მანგლისი — კოჯორი) მოიგო ჰენრიხ ტრუმგელერმა (რსფსრ) — 3:10.44. გუნდური გამარჯვება ეტაპზე რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა მოიპოვა — 9:34.03. შვიდი ეტაპის ჯამში პირველ ადგილზე გავიდა ვასილი დავიდენკო, მეორეზე — გარი კეხბა (ორივე — საქართველო). საქართველოს ველოსიპედისტები ლიდერობენ გუნდურ ჩათვლაში.**

## საქართველოს სპორტსახკომში

**როგორც** ცნობილია, ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი. კოლეგიის სხდომაზე დაამტკიცეს სპორტსახკომის, ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების ერთობლივი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ამ შეხვედრისას გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების პრაქტიკულ განხორციელებას.

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში მუშაობის გარდაქმნასთან დაკავშირებით ბოლო ხანებში ბევრი სიახლე დაინერგა. ერთი ასეთი სიახლეა სპრინტში ექსპერიმენტული ცენტრის შექმნა, რომლის შესახებაც საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიამ 1987 წლის დეკემბერში მიიღო სპეციალური დადგენილება. ახლა, კოლეგიის მორიგ სხდომაზე, განიხილეს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხი. კოლეგიის წინაშე ინფორმაციით წარდგა ცენტრის დირექტორი ე. გაგუა. მან ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ წამოწყებულია მეტად საჭირო და პერსპექტიული საქმე, რომელსაც საბჭოთა კავშირში პირველად ჩვენთან ჩაეყარა საფუძველი. დაისახა ღონისძიებები ცენტრის მიზნობრივი მუშაობის გააქტიურებისათვის. როგორც ცნობილია, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელბურთელ ვაჟთა გუნდი წლეულს წარუმატებლად გამოდის საკავშირო ჩემპიონატში და საქმე კატასტროფამდე მივიდა. შეაჯამა რა ჩემპიონატში ჩვენი გუნდის გამოსვლის შედეგები, კოლეგიამ მკაცრად მოსთხოვა პასუხი გუნდის ხელმძღვანელებს და პირადად უფროს მწვრთნელს გ. ბერიაშვილს. დაასახელეს გუნდის ხელმძღვანელთა მხრიდან საქმისადმი უპასუხისმგებლო და არასერიოზული დამოკიდებულების ფაქტები. ეს საკითხი საგანგებოდ განსახილველად გადაეცა ხელბურთის რესპუბლიკურ ფედერაციას.

განიხილეს საკითხი „წვევამდელთა ფიზიკურ მომზადებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ". ეს ნაკლოვანებები აშკარად გამოვლინდა მშდ ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივებში საკონტროლო შემოწმებისას. ნორმატივების ჩაბარებაში სიყალბე გამოვლინდა რესპუბლიკის 39 რეგიონში. ცურვაში წლევანდელ ზონალურ სპარტაკიადაში 730 ახალგაზრდა ჩაება და მათგან 198 მონაწილემ „0" შეფასება მიიღო. ეს მაშინ როცა ზონალურ შეჯიბრებებში ქალაქებისა და რაიონების პირველობებში გამარჯვებულნი გამოდიოდნენ. კოლეგიამ, რომლის სხდომას ესწრებოდნენ რესპუბლიკის, აგრეთვე ცალკეული ქალაქებისა და რაიონების სამხედრო კომისარიატების, კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, მიიღო დადგენილება. მასში დასახულია ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული გზები.

იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებიან სპორტსაზოგადოება „დინამოს" სპორტსმენები სეულის ოლიმპიური თამაშებისთვის, ინფორმაციით გამოვიდა ამ სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჯ. მიქელაძე. ამავე საკითხზე მოისმინეს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ვ. შუბლაძის ინფორმაცია.

კოლეგიის სხდომაზე განიხილეს აგრეთვე სხვა საკითხები, დაამტკიცეს ნომენკლატურული მუშაკები.

## ტრადიციულ მიწვევაზე

**დამკვიდრებული** ტრადიციისამებრ საქართველოს სპორტსახკომში ამ დღეებში შეხვედრაზე მიიწვიეს ევროპის ჩემპიონი ძიუდოში ამირან ტოტიკაშვილი. სპორტსახკომის ხელმძღვანელებმა წარმატება მიულოცეს სახელოვან ფალავანს, უსურვეს მას ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდში მტკიცედ დამკვიდრება და გამარჯვება სეულის თამაშებში.

ა. ტოტიკაშვილმა აღნიშნა, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა ღირსეულად განაგრძოს და კიდევ უფრო გააღრმავოს ქართული სპორტის ტრადიციები.



დილმის ტყე-პარკში, სპორტული დიდების ხეივანში, ევროპის ჩემპიონთა მწკრივს კიდევ ერთი ნერგი შეემატა — იგი გუშინწინ დარგო ქართველი ძიუდოისტების ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა ამირან ტოტიკაშვილმა.

ჯემალ კასრაძის ფოტო.





დარბაზში დინამოელები სხედან. ფარული კენჭისყრის შედეგებს აჯამებენ ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ზ. ხვანაძე, კომისიის წევრები, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ი. ხარატიშვილი და სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ოდიშვილი. (იხ. მე-3 გვ.).

## საქმეს კვალიფიციური სპეციალისტები სჭირდება

**შეუმჩნევლად გაირბინეს სტუდენტურმა წლებმა... წინ მხოლოდ გამოცდებია — სახელმწიფო გამოცდები. გაივლის საგამოცდო „ციებ-ცხელებაც" და გუშინდელი საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტები ცხოვრების დიდ გზაზე გავლენ. მომავალი სპეციალისტების განაწილებასა და დაგზავნას შემოქმედებითად უდგება ინსტიტუტის ხელმძღვანელობა. ამ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ გვესაუბრება ინსტიტუტის რექტორი ომარ გოგიაშვილი.**

**დღეს,** როცა ფიზკულტურა და სპორტი ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა, როცა რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში შენდება სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტები, იხსნება ამ სფეროში კოოპერატივები და ყოველდღიურად იზრდება სპეციალისტებზე მოთხოვნილება, საქართველოს სა-

იხ. გვ. 2 გვ.

## მსოფლიო ჩემპიონი, ექსჩემპიონი და აქტიური ჭადრაკი

**ესპანეთის** ქალაქ ხიხონში დაიწყო ევროპის პირველი ჩემპიონატი ე. წ. აქტიურ ჭადრაკში (30-30 წუთიანი პარტიები). აღსანიშნავია, რომ მონაწილეთა შორის არიან მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე და თბილისელი დიდოსტატი თამაზ გიორგაძე. შეჯიბრება 5 დღეს გასტანს, გაიმართება 13 ტური. დღეისთვის 5 ტურის შეხვედრებია გათამაშებული. 4,5-4,5 ქულით დაწინაურდნენ მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი, დიდოსტატები ვიქტორ გავრიკოვი და დიულა საქსი (უნგრეთი), 4-4 ქულა მოაგროვა მონაწილეთა დიდმა ჯგუფმა (9 მოჭადრაკე). მაია ჩიბურდანიძეს 3,5 ქულა აქვს, თამაზ გიორგაძეს — 3.



### გურამ ხეფიაშვილი — საკავშირო კატეგორიის მსაჯი

**სსრ კავშირის** ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა ფეხბურთში საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა თბილისელ არბიტრს **გურამ ხეფიაშვილს** (პროფკავშირული სპორტული საზოგადოება).

## 6-12 ივნისს

**6-12 ივნისს ტარდება ველოსპორტის საკავშირო კვირეული. ამ მასობრივი ღონისძიებისათვის, რომელიც მის მონაწილეებს ჯანმრთელობას და სიმხნევეს მოუტანს, განსაკუთრებით უნდა მოვემზადოთ. ადგილობრივი პირობებისა და შესაძლებლობების მიხედვით უნდა ჩავატაროთ მასობრივი გასეირნება ველოსიპედებით, მოვაწყოთ ველო გადარბენები, ამასთან, ველოტურიზმი, და სხვადასხვა ასაკის ადამიანებისთვის სპორტული შეჯიბრებების გამართვა ა/წ უნდა დავგავიწყდეს.**



# საქმეს კვალიფიციური სპეციალისტები სჭირდება

(დასასრული)

ხელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მიერ გამოშვებული კონტინგენტი (რაოდენობრივად) რესპუბლიკის მოთხოვნებს ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს. სამწუხაროდ, დღესდღეობით არავითარი მწყობრი სისტემა და პერსპექტიული გეგმა კადრების განახლების საკითხებზე არ არსებობს. ბევრი უწყება, სამინისტრო და რაიონი სპეციალისტების მოთხოვნას წინასწარ არ გეგმავს. მაგალითად, წლეულს განაცხადი არ წარმოუდგენია რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სახელმწიფო კომიტეტს, თუმცა, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროდან უკვე მოგვივიდა 6 პერსონალური მოთხოვნა. რას უნდა მიეწეროს ეს ფაქტი, უყურადღებობას თუ უპასუხისმგებლობას?

ბოლო ოთხი წლის მონაცემების მიხედვით განაცხადები არ წარმოუდგენია ზუგდიდს, ფოთს, გორს, ახალქალაქს, ახმეტას, ბოგდანოვკას, ყვარელს, ლენტეხს, თელავს, ხაშურს, ცხინვალს (სამხრეთ ოსეთში ამ ოთხი წლის განმავლობაში სამუშაოდ მხოლოდ 2 კაცი გაიგზავნა და ისიც მოთხოვნის გარეშე), აფხაზეთს. მიუხედავად ასეთი უსისტემურობისა, ყოველწლიურად 300-400 განაცხადი მაინც გროვდება. და ეს მაშინ, როცა ინსტიტუტში მისაღები კონტიგენტის რაოდენობა უცვლელია (დღეისათვის უკვე 258 განაცხადია შემოსული. მაშინ, როცა წლეულს ინსტიტუტს მხოლოდ 165 სტუდენტი დაამთავრებს).

ზემოთ ჯანმრთელობის კოოპერატივები ვახსენეთ. აქ აუცილებელია ადამიანის ჯანმრთელობა გამოცდილი სპეციალისტის ხელში იყოს. საქმეს მხოლოდ ენთუზიაზმი არ შველის, სპეციალისტად კი ნამდვილად ვერ ჩავთვლი 30 წლის წინანდელ სპორტსმენს. ფიზიკურ დატვირთვას, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, თუ იგი მეცნიერულ საფუძველზე არ არის დამყარებული, შეიძლება სავალალო შედეგებიც მოჰყვეს.

**● რა პრინციპით ხდება განაწილება და თქვენი სპეციალისტები ძირითადად რომელ სფეროში მოღვაწეობენ?**

— ძირითადად განაცხადების მიხედვით ვანაწილებთ. წელს ერთ კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი — რესპუბლიკის სპორტსახკომის ხელმძღვანელობამ მე-3 და მე-4 კურსის 15 წარჩინებული სტუდენტი სპეციალობების მიხედვით სტაჟირებისთვის მიამაგრა რესპუბლიკის ყველაზე გამოცდილ მწვრთნელებს ვალერი ვაშაკიძეს, ევგენი გაგუას, რუსუდან სიხარულიძეს, ჰანს ბურჯანაძეს...

სტუდენტები უმაღლესი დაოსტატების სკოლებსა და ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში ნახევარ განაკვეთზე მუშაობდნენ და შესაბამის ანაზღაურებასაც იღებდნენ. ისინი აქვე დარჩებიან სამუშაოდ. ეს ექსპერიმენტი კვალიფიციური მწვრთნელების მოსამზადებლად საუკეთესო საშუალებაა. გამოცდილ მწვრთნელებთან მუშაობა მათ პრაქტიკულ ჩვევებს და მეთოდებს გამოუმუშავებს.

უკვე მეორე წელია, რაც ჩვენი სტუდენტები ბავშვთა და მოზარდთა ექსპერიმენტალურ სკოლაში სტაჟირებას გადიან. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ისინი თავიანთ მოღვაწეობას აქვე გააგრძელებენ.

პროცენტულად კურსდამთავრებულების ყველაზე დიდი ნაწილი განათლების სამინისტროსა და საქართველოს სპორტსახკომის სისტემაზე მოდის. მარტო წლეულს განათლების სამინისტრომ 100, სპორტსახკომმა კი — 111 განაცხადი წარმოადგინა. რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, რომლის საბინაო-საექსპლოატაციო სამმართველოს ჩვენი სპეციალისტები, როგორც იტყვიან, ჰაერივით სჭირდებათ, წლეულს მხოლოდ 5 განაცხადი გამოაგზავნა.

**● ჩვენთვის ცნობილია, რომ ინსტიტუტი სერიოზულად უდგება სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მუშაობასთან დაკავშირებულ პრობლემებს.**

— სკოლამდელ დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდის საკითხებს დიდი ყურადღება ექცევა, ახალგაზრდობის ფიზიკურ სრულყოფას აქედანვე უნდა ჩაეყაროს საფუძველი, მათთვის ფიზკულტურა და სპორტი ყოველდღიურ მოთხოვნილებად უნდა იქცეს.

ამ მიზნით რამდენიმე ექსპერიმენტი ჩავატარეთ. ჩვენი კურსდამთავრებულები უკვე მუშაობენ თბილისის და რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების საბავშვო ბაღებში.

შარშან პირველი ექსპერიმენტული ჯგუფი სკოლამდელი აღზრდის ფიზკულტურის მეთოდისტის სპეციალობით 15 გოგონამ დაამთავრა, მიუხედავად იმისა, რომ საბავშვო ბაღებში ასეთი საშტატო ერთეული არ არსებობს, განათლების სამინისტროს დახმარებით, ყველანი სპეციალობით მუშაობენ.

ამ საქმეს რომ ფართო მასშტაბები მიეცეს და სერიოზული მუშაობა გაიშალოს, სკოლამდელ დაწესებულებებში ასეთი საშტატო ერთეული უნდა არსებობდეს.

თუ ასეთი საშტატო ერთეული დამტკიცდება და მისაღები კონტინგენტი გაიზრდება, ჩვენ გვაქვს საშუალება ამ სპეციალობით ყოველწლიურად თითო ჯგუფი მოვამზადოთ იმ საბავშვო ბაღებისთვის, სადაც ასეთი მუშაობის პირობები არსებობს.

**საუბარი ჩაიწერა**
**ნინო სიმონიშვილმა.**

---

**უნივერსიადა-88**

## ლახტის წრეში რისთვის [illegible] განაცხადები?

როცა მსაჯთა ბრიგადის წევრებმა შეიტყვეს, ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად ცხრა უმაღლესი სასწავლებლის გუნდებმა წარმოადგინეს განაცხადებიო, გაოცება ვერ დაფარეს. ამდენი გუნდის თავმოყრა არა თუ სტუდენტთა რესპუბლიკურ უნივერსიადაზე, არამედ საქართველოს ჩემპიონატშიც კი საძნელო საქმე გამხდარა. სპეციალისტები უფრო გაოცდნენ, როცა იმ განაცხადების წარმომდგენთა შორის, სხვებთან ერთად, საქართველოს ზოოვეტერინარული, სუბტროპიკული, ქუთაისის პედაგოგიური, თბილისის სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები აღმოჩნდნენ. არადა, ყველამ იცის, რომ ამ უმაღლეს სასწავლებლებს არც წყალბურთელთა გუნდები ჰყავთ და არც წყალბურთის ტრადიციები გააჩნიათ, მაგრამ რაკი განაცხადები წარადგინეს, იგულისხმება, რომ სპორტსმენებიც ჰყოლიათ.

ასე იყო თუ ისე, სასწაული არ მომხდარა და ქუთაისში გამართულ შეჯიბრებაში მხოლოდ საქართველოს პოლიტექნიკური, ფიზკულტურის, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტებისა და თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენლები ჩავიდნენ.

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და თბილისის უნივერსიტეტს ყველაზე კარგი წყალბურთელები ჰყავთ, რაც ამ შეჯიბრებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა. უნივერსიტეტელებმა იოლად დაამარცხეს მასპინძელთა (10:2) და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდები (14:2).

ამ გუნდებთან შეხვედრაში ასევე დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა (შესაბამისად 13:7 და 19:3).

უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდებს შორის უძლიერესი უნდა გამოკვეთილიყო, მაგრამ გამარჯვების სასწორი ვერც ერთმა მხარემ ვერ გადახარა.

7:7. ასე დამთავრდა მათი შეხვედრა.

უძლიერესის დასადგენად მიღებული და გაშვებული ბურთების შეფარდებაზე მიდგა საქმე. აქ ერთადერთი ბურთის წყალობით პოლიტექნიკოსებმა (იაკოვლევი, ლანჩავა, შალვაშვილი, მაშავა, ნეფარიძე, ძაგანია, მარგოშვილი, ზედანია, მაჭავარიანი, ბანძელაშვილი, კაკანდაძე, გოგოლაძე) იმარჯვეს.

მესამე ადგილი წილად ხვდათ მასპინძლებს (2 ქულა).

უნდა ითქვას, რომ საერთო ჯამში გუნდებმა სუსტი მომზადება გამოავლინეს. აქ ვიხილეთ ბევრი ყოფილი მოცურავე, რომლებიც თავის დროზე არც ცურვაში გამოირჩეოდნენ. ბუნებრივია, ასეთი შეკოწიწებული გუნდებით უკეთესი თამაშის იმედი არც უნდა გვქონოდა.

რაკი სტუდენტ წყალბურთელთა კოლექტივებზე ვსაუბრობთ, აქვე უნდა შევჩერდეთ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებზე. სამწუხაროდ, ამ ინსტიტუტის აუზის რეკონსტრუქცია ძალზე გაჭიანურდა, რაც, ბუნებრივია, სტუდენტ წყალბურთელთა ოსტატობის ზრდას აფერხებს.

**ავთანდილ ჟუჟუნაშვილი.**

P.S. როგორც ხედავთ, წყალბურთელთა ასპარეზობამაც საკმაო ნაკლი წარმოაჩინა. იმედია, უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობა, სხვა ორგანიზაციები, ვისაც ამ პრობლემების მოგვარება ეხება, პასუხს არ დაგვიგვიანებენ.

---

**საქართველოს ჭაბუკ აფროსანთა პირველობა**

# ავტობუსი... აფრებს გაშლის

**საქართველოს აფროსნები რესპუბლიკურ პირველობას, ჩვეულებრივ, ფოთსა და ბათუმში ატარებენ, მაგრამ წელიწადში ერთხელ, გაზაფხულობით, ისინი თბილისის ზღვაზე იკრიბებიან, სადაც, ტრადიციულად, იმართება 14-16 წლის ჭაბუკ აფროსანთა პირველობა.**

მოახლოვდა თუ არა წლევანდელი შეჯიბრება, რომელიც ახლახან ჩატარდა თბილისის ზღვის საიალქნო კლუბის „აკვატორიაში", სიხარულმა და... უხერხულობის მოლოდინით გამოწვეულმა ფორიაქმა შემიპყრო. სიხარულის მიზეზი ძნელი გამოსაცნობი არ გახლავთ — თბილისელებს ხომ ასე იშვიათად გვეძლევა აფროსანთა რესპუბლიკური შეჯიბრების ხილვის საშუალება — აი, ფორიაქისა კი...

ცოტა უხერხულია იმაზე ლაპარაკი, რასაც ახლა მოგახსენებთ — ვიცი, თავმოყვარე კაცი საკუთარი ჯიბის პრობლემებზე საუბრით უცნობებს არ შეაწუხებს — მაგრამ კერძო საფიქრალი საერთო სატკივარის ნაწილი რომ არ იყოს და ამ სატკივარს არ გამოაჩენდეს, ჩემსას, რა თქმა უნდა, არ ვიდარდებდი და ნამდვილად გავჩუმდებოდი.

რალა ბევრი გავაგრძელო: ჭაბუკ აფროსანთა პირველობაზე დასწრება ლამაზ სანახაობას კი მპირდებოდა, მაგრამ ხელფასის გვარიანი ნაწილის დაკარგვითაც მემუქრებოდა. მიზეზი? **თბილისის საიალქნო კლუბს ტაქსის გარდა არც ერთი სახეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ უდგება**, ასე რომ, ვისაც საკუთარი მანქანის გასაღები არ უდევს ჯიბეში, იმას აქეთ-იქით მგზავრობა დღეში შეიძლება 4-5 მანეთიც დაუჯდეს. აფროსანთა შეჯიბრება კი ერთ კვირას ან მეტ ხანსაც გრძელდება, ამიტომ ამ სახეობის უავტომობილო მოყვარულისთვის, თუ იძულებითი ტურისტული ლაშქრობებით თავის გაწვალება არ სურს, **თბილისში გამართული საიალქნო რეგატების ხილვა საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა.**

ამ შესავლის შემდეგ, იმედია, არ გაგიჭირდებათ იმის ახსნა, თუ რა კავშირი აქვს ყოველივე ზემოთქმულს თბილისში აფროსნობის ჩამორჩენასთან. დიახ, ეს კავშირი პირდაპირი და ჩვენს ქალაქში აფროსნობის განვითარებისთვის ფრიად სავალალო და დამაფიქრებელია—თბილისის საიალქნო კლუბში მისვლა **დიდებს თუ უჭირთ და აფრთხობთ, პატარებმა რაღა ქნან, დღეგამოშვებით აქ ამოსვლა და აფროსნობაში სისტემატური მეცადინეობა როგორ მოახერხონ?** ამიტომაცაა, რომ რესპუბლიკურ პირველობებზე ასპარეზობისას თბილისელი აფროსნები ყოველთვის სხვებზე ცოტანი არიან, მატარებლით მგზავრობისას, მაგალითად, ორად-ორი კუპე ჰყოფნით და, ცხადია, ვერც სერიოზულ კონკურენციას უწევენ ბათუმელ, სოხუმელ და ფოთელ მეტოქეებს, რომელთაც საიალქნო კლუბები, რომ იტყვიან, ცხვირწინ აქვთ.

ერთი სიტყვით, ამჟამად თბილისის საიალქნო კლუბისთვის ავტობუსი ისევე აუცილებელია, როგორც აფროსნობისთვის საჭირო სხვა ინვენტარი. კლუბში მიმოსვლა თუ გაადვილდება, აფროსნობაში მომეცადინე ყმაწვილთა რაოდენობა აუცილებლად გაიზრდება, ეს კი, ცხადია, გუნდსაც მოაღონიერებს და რესპუბლიკურ შეჯიბრებას, რომლის შედეგების პროგნოზირება დღესდღეობით არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს, უფრო საინტერესოსა და დაძაბულს გახდის. ყოველ შემთხვევაში, თითებზე ჩამოსათვლელ მოზარდ თბილისელ აფროსანთა და მათი აღმზრდელების, თბილისის საიალქნო კლუბის მუშაკთა ენთუზიაზმი (ყველასთვის მოულოდნელად, წლევანდელი შეჯიბრების გუნდურ ჩათვლაში თბილისელებმა ფოთელებს აჯობეს და მესამე ადგილი დაიკავეს) უთუოდ გვაძლევს ამ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, თორემ კლუბის სიშორე-სიახლოვე და მისადგომ-მიუდგომლობა საქმის ერთი მხარე რომაა და მთავარი და უფრო მნიშვნელოვანი ბავშვებთან მუშაობის ხარისხი რომ გახლავთ, ეს კარგად ვიცით. ამ თვალსაზრისით, ახლახან დამთავრებულმა შეჯიბრებამ ვერაფრით გვა-



ნუგეშა. მოასპარეზეებზე დაკვირვებამ კვლავ, უკვე მერამდენედ, დაგვარწმუნა იმაში, რომ **მოზარდ აფროსანთა გამოსვლებში არ იგრძნობა სისტემატური, მაღალი მიზნების მისაღწევად აუცილებელი აზარტითა და ენთუზიაზმით აღსავსე ვარჯიშების მადლი და მარილი.** შეჯიბრების მონაწილეთა ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების დონე სასურველზე დაბალი იყო, ძნელი შესამჩნევი არც ის იყო, რომ მოასპარეზეთა უმრავლესობას ხეირიანი სტარტის აღება უჭირდა, ეს კი, მოგეხსენებათ, რბოლაში დაწინაურებისა და გამარჯვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მოზარდებთან მუშაობაში არსებულ ხარვეზებზე ისიც მეტყველებს, რომ **შეჯიბრებაში სულ ექვსმა გოგონამ მიიღო მონაწილეობა.** მართალია, „კადეტის" კლასში მოასპარეზე ფოთელ გოგონათა ეკიპაჟი ვაჟებსაც ვერ უდებდა ტოლს, მაგრამ ეს ფაქტი ამ ეკიპაჟის მესაჭის ილონა აბსაძის სიმარჯვისა და ნიჭიერების საბუთად თუ გამოდგება, თორემ საერთო მძიმე მდგომარეობას ვერაფრით ამსუბუქებს. ილონამ და მისმა მებაგირემ ლალი გერსამიამ ერთადერთ მეტოქეს — ბათუმელების, ოქსანა დუდინასა და დიანა მურუზიდის წყვილს აჯობეს და პირველი ადგილი ისე დაიკავეს. ორი ნავით იასპარეზეს გოგონებმა „ოპტიმისტის" კლასშიც: პირველ ადგილზე გავიდა ბათუმელი ირინა გოლოვკოვა, რომელმაც თანაგუნდელი იულია ლევანჩევა დაამარცხა. ვაჟთა შეჯიბრებაში ბათუმელთა უპირატესობა აშკარა იყო: „ოპტიმისტის" კლასში კვარცხლბეკის პირველ და მეორე საფეხურებზე ამ ქალაქის წარმომადგენლები რ. კარაპეტიანი და ე. მაქსიმოვი ავიდნენ (მესამე იყო სოხუმელი ვ. გახოკიძე), „კადეტებით" შეჯიბრებაში კი ყველას აჯობა მათი თანაგუნდელების — მ. კორობლიოვისა და ო. კოვტუნის წყვილმა. ამ კლასში მეორე ადგილი დაიკავეს ნ. მელნიჩენკომ და გ. გახოკიძემ (სოხუმი), მესამე — ვ. რეხვიაშვილმა და პ. პეტრიაშვილმა (თბილისი).

გუნდურ ჩათვლაში კი ადგილები ასე განაწილდა: 1. ბათუმი, 2. სოხუმი, 3. თბილისი, 4. ფოთი.

**თ. შენგელია.**

---

**ფიზკულტურა მისაღებ გამოცდებზე**

საუბარი აბიტურიენტებთან

# ათი გაკვეთილი ფიზკულტურაში

**გაკვეთილი მეათე.** დღეს ბოლო გაკვეთილია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მეცადინეობა აუცილებლად უნდა შევწყვიტოთ. თუ სურვილი გაქვთ, ყოველდღიურად შეგიძლიათ გააგრძელოთ ვარჯიში, კიდევ უფრო სრულყოთ ცალკეული მოძრაობები და შედეგები. ეს საჭიროა იმისთვისაც, რომ, ასე ვთქვათ, სპორტული ფორმა შეინარჩუნოთ ფიზიკურ მომზადებაში ჩათვლაზე გასვლის წინ.

მაშ ასე, მეათე გაკვეთილი. ახლა ნორმატივები ზუსტად იმ დატვირთვით უნდა შეასრულოთ, რასაც ჩათვლა ითვალისწინებს (ვიმეორებთ, ჩვენს გაკვეთილებში 5-დან შერჩეულია ყველასთვის ხელმისაწვდომი 3 ნორმატივი). ვაჟები ამჟამად კვლავ 1000 მეტრს გაირბენთ, ოღონდ შეეცადეთ ჩაეტიოთ ჩასათვლელ დროში. თავდაპირველად ძალიან ჩქარი ტემპით არ უნდა დაიწყოთ რბენა. ძალები ისე უნდა გაანაწილოთ, რომ ფინიშთანაც შეგეძლოთ ტემპის მომატება. თუ რაიმე ავადმყოფობა გაწუხებთ, ექიმის რჩევის გარეშე სრული დატვირთვით ნუ ივარჯიშებთ. ეს გოგოებსაც ეხებათ. რბენის შემდეგ კვლავ იხვენებთ (ნელი სიარულით). 5-7 წუთის შემდეგ შეასრულეთ მეორე ნორმატივი — წოლბჯენიდან ხელების მოხრა, გაშლა 15-ჯერ. ისევ შეისვენეთ 4-5 წუთს და შემდეგ ბუქნი წინმკლავში შეასრულეთ 40-ჯერ (16-18-წლიანებმა), 50-ჯერ (19-28-წლიანებმა) და 30-ჯერ (29-30-წლიანებმა). ასაკი გაითვალისწინეთ აგრეთვე წოლბჯენიდან ხელების მოხრა-გაშლის ნორმატივის შესრულებისას.

გოგოებმა 500 მეტრი უნდა გაირბინოთ ჩასათვლელი დროის ტემპით. შესვენებისა და შინ დაბრუნების შემდეგ კი შეასრულეთ ბუქნი წინმკლავში იმდენჯერ, რამდენიც გათვალისწინებულია თქვენი ასაკისათვის. ისევ შეისვენეთ და ახლა ზურგზე წოლილა მდგომარეობიდან წამოჯდომა შეასრულეთ ისევ თქვენი ასაკისათვის დადგენილი რაოდენობით.

წარმატებებს გისურვებთ!

---

## ცურვაში ნორმატივების ჩამბარებელთა საყურადღებოდ!

**ორშაბათიდან,** 6 ივნისიდან, აბიტურიენტებს, რომლებმაც ცურვა იციან და ერთ-ერთ ნორმატივად სურთ მისი ჩაბარება, შეუძლიათ მიაკითხონ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საცურაო აუზს ყოველდღე (შაბათისა და კვირის ჩათვლით), 12-დან 15 საათამდე. მათ კი, ვისაც იმედი აქვს, რომ მოკლე დროში შესწვდება ჩასათვლელ ნორმატივს, შეუძლიათ ჩაეწერონ კიროვისა (ორთაჭალა, ტელ. 72-52-35) და პირველი მაისის (დიღმის მასივი, ტელ.: 51-95-93) სასკოლათაშორისო საცურაო აუზების მოსამზადებელ ჯგუფებში. მეცადინეობის დღეებს და დროს თავად შეარჩევთ.

## ყურადღება!

**სამედიცინო ინსტიტუტის სტადიონზე ყოველდღე (გარდა კვირისა) 9-დან 12 და 17-დან 20 საათამდე მუშაობს თეატრალური ინსტიტუტის, სამხატვრო აკადემიისა და სახელმწიფო კონსერვატორიის მიმღები კომისიები.**

**იქვე, ისევე როგორც „ლოკომოტივის" სტადიონზე, ფიზიკურ მომზადებაში ნორმატივების ჩაბარება შეუძლიათ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელ აბიტურიენტებს.**

# გუნდის აზრი გათვალისწინებულია

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გ. ზონინმა ჯანმრთელობის გაუარესების გამო, პირადი განცხადებით ითხოვა დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლება. თხოვნა დააკმაყოფილეს.

ამრიგად, „დინამოს" ფეხბურთელები კვლავ, სამწუხაროდ, მთავარი მწვრთნელის შეცვლის საჭიროების წინაშე აღმოჩნდნენ.

ამჯერად მიიღეს დემოკრატიული გადაწყვეტილება: მიეცათ შესაძლებლობა გუნდის ყველა წევრისათვის ფარული კენჭისყრით გამოეთქვა თავისი აზრი ახალი მთავარი მწვრთნელის არჩევის საქმეში. მათთან ერთად ხმის უფლება მიეცათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს ი. ხარატიშვილს, თბილისის „დინამოს" გულშემატკივართა კლუბის პრეზიდენტს გ. ქავთარაძეს.

თავდაპირველად ოთხი კანდიდატი იყო: მურთაზ ხურცილავა, დავით ყიფიანი, ანატოლი ნორაკიძე და ვლადიმერ გუცაევი. მაგრამ ამ უკანასკნელმა, რომელიც ახლა გუნდის უფროსად მუშაობს, აცილება მისცა თავის კანდიდატურას, განაცხადა, რომ მას ჯერჯერობით აკლია გამოცდილება ესოდენ პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობისათვის.

დარჩენილი სამი კანდიდატურიდან ვის გაუწევდა ნდობას გუნდი, უნდა გადაეწყვიტა მის კრებას, რომელიც „დინამოს" დიღმის სასწავლო-საწვრთნელ ბაზაში გაიმართა. იქ მიწვეული იყვნენ რესპუბლიკის სპორტსახკომის, საქართველოს სპორტსაზოგადოება „დინამოს" საბჭოს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობდა 33 კაცი. მონაწილეობა არ მიუღიათ ხულაქველიძეს, კეტაშვილს, რევიშვილს და თედეევს, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა ნაკრებ გუნდებში არიან მიწვეული.

პირველ ტურს არ გამოუვლენია გამარჯვებული — ვერავინ ვერ შეძლო ხმების ნახევარზე მეტის მოგროვება: ყიფიანმა მიიღო 15 ხმა, ხურცილავამ — 12, ნორაკიძემ — 5, ერთი ბიულეტენი ბათილი გამოდგა.

მეორე ტურის შედეგები, რომელშიც უკვე ორი პრეტენდენტი — ყიფიანი და ხურცილავა იყვნენ კენჭი, გამოაცხადა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ — გუნდის ფეხბურთელმა და პარტორგანიზაციის მდივანმა ზ. სვანიძემ. დ. ყიფიანს ხმა მისცა 23 კაცმა.

ამრიგად, სპორტის დამსახურებული ოსტატი დავით ყიფიანი ფარული კენჭისყრით დაასახელეს თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე.

გუნდის გადაწყვეტილება გაუგზავნეს საქართველოს „დინამოს" საბჭოს და რესპუბლიკის სპორტსახკომს, რომლებმაც დადგენილი წესისამებრ დაამტკიცეს იგი.

საქინფორმი

ფეხბურთი ფეხბურთი

# მეთხუთმეტე

8 იანვარს „სოვეტსკი სპორტის" თაოსნობით გაიხსნა სიმბოლური საფეხბურთო კლუბი, რომელსაც ჩვენ, მკითხველთა რჩევით, მივანიჭეთ წარსულში ბრწყინვალე ფეხბურთელის, წლების განმავლობაში სსრ კავშირის ნაკრების უცვლელი კაპიტნის იგორ ნეტოს სახელი. ამ კლუბში შევიდნენ ის ფეხბურთელები, რომლებმაც ქვეყნის ნაკრებში 50 და მეტი ოფიციალური და ფიფა-ს მიერ რეგისტრირებული ამხანაგური მატჩი ითამაშეს.

თავდაპირველად ჩვენ შემოგთავაზეთ იმ თოთხმეტი ფეხბურთელის სია, რომლებმაც სხვადასხვა დროს 50 და მეტი მატჩი ითამაშეს ნაკრების შემადგენლობაში. და აი, იგორ ნეტოს კლუბში, რომელსაც „ალმის ღირსება" ეწოდება, გაჩნდა ახალი სახელი. პოლონეთის ნაკრებთან ოთხშაბათს ჩატარებულ ამხანაგურ მატჩში, საბჭოთა ნაკრების მცველი, თბილისის დინამოელი თენგიზ სულაქველიძე ორმოცდამეათედ გამოვიდა მინდორზე სსრ კავშირის ნაკრების მაისურით.

**სტრიქონები ბიოგრაფიიდან.** თენგიზ სულაქველიძე დაიბადა 1956 წლის 23 ივლისს ქუთაისში. თამაშობდა ადგილობრივ „ტორპედოში", 1978 წლიდან კი თბილისის „დინამოშია". სსრ კავშირის ნაკრების სახელით გამოვიდა მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებში, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატში.

...პოლონელებთან მატჩის მეორე ტაიმში სულაქველიძის მინდორზე გამოჩენამ მყისვე გამოაცოცხლა თამაში და შესვენებიდან უკვე ოთხი წუთის შემდეგ საბჭოთა ნაკრების შეტევა პოლონელთა კარის აღებით დამთავრდა.

თენგიზმა მატჩი ამაღლობით ჩაატარა. ამას გრძნობდა ყველა — მაყურებლებიც და მოთამაშეებიც. შეხვედრის შემდეგ ჩვენი კორესპონდენტი დ. კაკაბაძე შევიდა ნაკრების გასახდელში, მიულოცა სულაქველიძეს წარმატება და კლუბის წევრობა, მერე კი რამდენიმე შეკითხვა მისცა.

**● ორმოცდაათი მატჩი ნაკრების შემადგენლობაში. გვითხარით, თენგიზ, რას ნიშნავს თქვენთვის ეს ციფრი?**

— ქედმაღლობაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ეროვნულ ნაკრებში ორმოცდაათი შეხვედრის ჩატარება ფეხბურთელის კლასისა და სტაბილურობის მაჩვენებელია. სწორედ ამიტომ მომეწონა იგორ ნეტოს სიმბოლური კლუბის შექმნის იდეა, რომელში მოხვედრაც, საკუთარი გამოცდილებით ვიცი, ძალზე ძნელია. ამას გარდა, მოხარული ვარ, რომ მურთაზ ხურცილავას შემდეგ მე აღმოვჩნდი მეორე თბილისის დინამოელი, ვისაც ასეთი პატივი ხვდა წილად. ძალზე სამწუხაროა, რომ ჩემს თანაგუნდელებს რევაზ ძოძუაშვილსა და ალექსანდრე ჩივაძეს მხოლოდ თითო ნაბიჯი დააკლდათ სანუკვარ ორმოცდაათამდე და 49 თამაშზე გაჩერდნენ.



**● მას შემდეგ, რაც თქვენ პირველად გამოხვედით მინდორზე საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, დაახლოებით რვა წელი გავიდა. ჩატარებული ორმოცდაათი მატჩიდან რომელი დაგამახსოვრდათ განსაკუთრებით?**

— ყოველთვის სიამოვნებით ვიხსენებ თბილისში ჩატარებულ 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან. საქმე მარტო ის როდია, რომ ეს საპასუხისმგებლო მატჩი ჩვენ დამაჯერებლად მოვიგეთ — 2:0. მთავარი ისაა, რომ მოედანზე ყოველ ჩვენგანს თითქმის ყველაფერი გამოსდიოდა. ასეთი თამაში ყოველი ფეხბურთელის ბიოგრაფიაში, ვფიქრობ, არცთუ ბევრია.

**● როგორ ფიქრობთ თამაშს ევროპის ჩემპიონატში?**

— იმედი მაქვს, რომ კარგად. ყოველ შემთხვევაში, ბიჭები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. ურიგოდ მომზადებულებიც არ ვართ. ერთი სიტყვით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან მედლებით დაბრუნებაზე ვოცნებობთ. გულახდილად გეტყვით, რომ ეს ჩემი უკანასკნელი დიდი „სტარტია" ფეხბურთში, მალე 32 წლის ვხდები. ვფიქრობ, არც ღირს იმის ახსნა, თუ რას ნიშნავს ჩემთვის ეს ჩემპიონატი...

**„სოვეტსკი სპორტი",**
**3 ივნისი, 1988 წ.**

**იგორ ნეტოს კლუბის, „ალმის ღირსების", შემადგენლობა:**

1. ოლეგ ბლოხინი (კიევის „დინამო") — 108
2. ალბერტ შესტერნიოვი (ცსკა) — 89
3. რინატ დასაევი (მოსკოვის „სპარტაკი") — 80
4. ლევ იაშინი (მოსკოვის „დინამო") — 75
5. ვლადიმერ ბესონოვი (კიევის „დინამო") — 70
6. მურთაზ ხურცილავა (თბილისის „დინამო") — 67
7. ვალერი ვორონინი (მოსკოვის „ტორპედო") — 65
8. ანატოლი დემიანენკო (კიევის „დინამო") — 65
9. ვალენტინ ივანოვი (მოსკოვის „ტორპედო") — 59
10. ვლადიმერ კაპლიჩნი (ცსკა) — 59
11. იგორ ნეტო (მოსკოვის „სპარტაკი") — 55
12. ვიქტორ კოლოტოვი (ყაზანის „რუბინი", კიევის „დინამო") — 53
13. ევგენი ლოვჩევი (მოსკოვის „სპარტაკი") — 51
14. იგორ ჩისლენკო (მოსკოვის „დინამო") — 51
15. თენგიზ სულაქველიძე (თბილისის „დინამო") — 50

# ევროპის ჩემპიონატზე ანშლაგია

**ევროპის** საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური მატჩების დაწყებამდე სულ რაღაც ერთი კვირა დარჩა, ახლა მატჩებზე დასასწრები ბილეთების 90 პროცენტი რეალიზებულია. ამის თაობაზე ოფიციალურად გამოაცხადეს პირველობის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელებმა, 31 მაისისთვის ჩემპიონატის 15 მატჩზე გაყიდული იყო 810.883 ბილეთი. ყველაზე უფრო მნიშვნელოვან 10 მატჩზე პრაქტიკულად ყველა ბილეთი გაყიდულია.

საორგანიზაციო კომიტეტს განზრახული აქვს ბილეთების ღია გაყიდვა უშუალოდ სტადიონებზე მაინის ფრანკფურტში (იტალია — ესპანეთი) და ჰანოვერში (სსრ კავშირი — ირლანდია).

ხაზგასმით აღინიშნა, რომ აღარ გაიყიდება ინგლისის ნაკრების მატჩებზე დარჩენილი ბილეთები. ეს ღონისძიება უხიფათობის მოსაზრებითაა ნაკარნახევი. ბილეთების უკონტროლოდ გაყიდვის შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა მეტოქე გუნდების გულშემატკივართა განლაგება სტადიონების სხვადასხვა სექტორებში, თვით ინგლისის საფეხბურთო ფედერაციამ და სპორტის მინისტრმა კოლინ მოინიჰემმა დაბეჯითებით მოითხოვეს ღია წესით არ გაიყიდოს ბილეთები ინგლისის ნაკრების მატჩებზე.

როგორც **დპა-ს** სააგენტო იუწყება, ბილეთებთან ერთად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც და უცხოეთის ქვეყნებშიც გავრცელდა ნახევარ მილიონზე მეტი ნაბეჭდი ფურცლები გერმანულ, ინგლისურ, იტალიურ და ესპანურ ენებზე, სადაც ფეხბურთის მოყვარულებს მოუწოდებენ წესრიგი დაიცვან სტადიონებზე.

ყველა იმ სტადიონის მახლობლად, სადაც ჩემპიონატის მატჩები ჩატარდება, დადგინდა მაგარი სასმელების გაყიდვის აბსოლუტური აკრძალვა. ნასვამ მაყურებლებს სტადიონებზე არ შეუშვებენ. აკრძალულია ყოველგვარი ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის გატანა ტრიბუნებზე, გულშემატკივრებს ეკრძალებათ იქონიონ დროშები, რომელთა ტარი ერთ მეტრს, ხოლო სისქე სამ სანტიმეტრს აღემატება.

ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა ჰერმან ნოიბერგერმა განაცხადა:

— ჩვენ გვინდა ხულიგნებსა და დებოშიორებს გზა გადავუღობოთ სტადიონებისკენ.

# ტელეეკრანებზე...

**10 ივნისს იწყება ევროპის VIII ჩემპიონატი ფეხბურთში, სპორტის მოყვარულები დიდი ინტერესით მოელიან ამ საინტერესო შეჯიბრებას და, რა თქმა უნდა, ჩემპიონატის ტრანსლაციას ტელევიზიით.**

სატელევიზიო რეპორტაჟების თაობაზე განცხადებით გამოვიდა საკავშირო ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა მთავარი რედაქტორის მოადგილე ა. რატნერი.

— განზრახული გვაქვს ყველა 15 მატჩის ტრანსლაცია, რომლებიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქებში ჩატარდება. ჩემპიონატის შეხვედრათა რეპორტაჟებისთვის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას მიემგზავრებიან ჩვენი კომენტატორები ვ. მასლაჩენკო და ვ. პერეტურინი. პირველი პირდაპირი გადაცემა ცენტრალური ტელევიზიის პირველი პროგრამით შედგება 10 ივნისს: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — იტალია (ტრანსლაცია დაიწყება 23 საათსა და 10 წუთზე თბილისის დროით). 11 ივნისს II პროგრამით გადავცემთ დანიისა და ესპანეთის გუნდების შეხვედრას (დასაწყისი 18 საათსა და 25 წუთზე თბილისის დროით).

11 ივნისს 10 საათსა და 25 წუთზე I პროგრამით გადასცემენ ჩემპიონატის გახსნის რეპორტაჟს, ხოლო შემდეგ განმეორებით აჩვენებენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იტალიის გუნდების შეხვედრის მეორე ტაიმს.

12 ივნისს 18 საათსა და 25 წუთზე I პროგრამით ვნახავთ ინგლისისა და ირლანდიის გუნდების, ხოლო 23 საათსა და 10 წუთზე ჰოლანდიისა და სსრ კავშირის გუნდების მატჩს.

ჩემპიონატის შემდგომი მსვლელობის ტელეგადაცემათა პროგრამა ჩვენს გაზეთში სისტემატურად გამოქვეყნდება.

**ჰააგა.** ევროპის ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის პირველი მეტოქე იქნება ჰოლანდიის გუნდი. ჰოლანდიელმა ფეხბურთელებმა ჰააგაში რუმინეთის გუნდი მიიღეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0 (1:0). პირველი ბურთი ჯერ კიდევ მე-3 წუთზე გაიტანა ბოსმანმა, ხოლო შესვენების შემდეგ, 53-ე წუთზე, კიფტმა.

ჰოლანდიელთა შემადგენლობა: ვან ბრეკელენი, ვან ტიგელენი, ვან ერლი, რ. კუმენი, რიიკარდი, ვაუტერსი, ვანტ სჰიპი (ვან ბასტენი), მიურენი (ე. კუმენი), ბოსმანი, კიფტი, ვენენბურგი.

**ოსლო.** ირლანდიის ფეხბურთელთა ნაკრებმა, რომელიც აგრეთვე მონაწილეობს ევროპის ჩემპიონატის ფინალში და ჩვენი გუნდის მეტოქეა, საკონტროლო მატჩი გამართა ნორვეგიის ნაკრებთან. ფრე — 0:0.

ირლანდიელთა შემადგენლობა: ბონერი, მორისი, ჰიუტონი, მაკარტი, მორანი, მაკგრატი, ველანი, ჰოუტონი, ოლდრიჯი, სტეპლტონი (კოსკარინო), გალვინი (შერიდანი).

**კოპენჰაგენი.** დანიის ნაკრებმა აქ გამართულ საკონტროლო მატჩში ანგარიშით 0:1 მარცხი იწვნია ჩეხოსლოვაკიის გუნდთან (ბურთი მე-11 წუთზე გაიტანა კუბიკმა).

**სალამანკა.** ასევე მარცხიანად დამთავრდა ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების რეპეტიცია ესპანელ ფეხბურთელთათვის. მათ ანგარიშით 1:3 წააგეს შვეციის გუნდთან, თუმცა მწვრთნელმა მ. მუნიოსმა მინდორზე უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანა. ესპანელმა ფეხბურთელებმა აშკარად ვერ გაამართლეს იმედები.

## თექვსმეტი ფინალისტი

**სეულის** ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირისთვის უკვე გამოვლინდა ყველა, 16-ივე ფინალისტი. ესენია: სამხრეთ კორეა (ორგანიზატორი ქვეყანა), არგენტინა, ბრაზილია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ერაყი, მექსიკა, ნიგერია, ტუნისი, ზამბია, ავსტრალია, სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, იუგოსლავია, შვეცია, იტალია, გფრ.

**ინგლისში** დამთავრდა ფიფა-ს ყოფილი პრეზიდენტის სტენლი როუზის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი. ინგლისისა და კოლუმბიის გუნდების მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1:1, ინგლისელებმა 2 მატჩში 3 ქულა დააგროვეს და პრიზსაც დაეუფლნენ.

# მინდორზე ქალები გამოდიან საასპარეზოდ

**საკავშირო** პროფკავშირების სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს ბიურომ დაადგინა 7-10 ივლისს მოსკოვში მოეწყოს რესპუბლიკურ შეჯიბრებებში გამარჯვებულ ფეხბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ტურნირი.

ფეხბურთელ ქალთა გუნდები საქართველოში საკმარისად გვყავს, საკავშირო გათამაშებაში ჩვენც უნდა მივიღოთ მონაწილეობა, ამიტომაც წლეულს ივნისში მოეწყობა პროფკავშირების სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური შეჯიბრება.

ორგანიზაციებმა, რომლებსაც ფეხბურთელ ქალთა გუნდები ჰყავთ და შეჯიბრებაში მონაწილეობა სურთ, 10 ივნისამდე დეპეშით უნდა აცნობონ საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ფეხბურთის სამმართველოს მისამართით: თბილისი, წერეთლის პროსპექტი № 95-ა.

## საერთაშორისო ტურნირი ავსტრალიაში

**წლეულს** ივლისში ავსტრალიის დედაქალაქში გაიმართება იქაური ფეხბურთის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი 4 გუნდის მონაწილეობით. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ავსტრალიელები, აგრეთვე, არგენტინის, ბრაზილიისა და საუდის არაბეთის ნაკრები გუნდები.

## საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში



# „ძნელი" ქულები

**ფინალური** ტურნირის მესამე კალენდარული დღე კვლავ დაძაბული ბრძოლებით აღინიშნა. ერთ შეხვედრაში გამარჯვებულს მინიმალური, მეორეში კი სამქულიანი უპირატესობა ჰქონდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპზე „ტკბილი ცხოვრება" არც ერთ კოლექტივს არა აქვს.

აი, თუნდაც გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. უნივერსიტეტელებს აქამდე მხოლოდ ორი დამარცხება ჰქონდათ. გუშინწინ ისინი მესამედ დამარცხდნენ, თანაც „სინათლესთან" პრინციპულ ბრძოლაში. ახლა საგრძნობლად შემცირდა სხვაობა ლიდერსა და მის უახლოეს „მდევარს" შორის.

კიდევ უფრო მძაფრი ბრძოლით აღინიშნა ფიზკულტურისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტების კალათბურთელთა შეხვედრა. აქ ბრძოლის ბედი ერთადერთმა ქულამ გადაწყვიტა, რომელმაც გამარჯვება ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივს მოუტანა. საერთოდ კი უნდა გავიმეოროთ, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელები კარგად ატარებენ ფინალურ ტურნირს. გადამწყვეტ ეტაპზე მათ უკვე მესამე გამარჯვება მოიპოვეს.

ქუთაისისა და სოხუმის კოლექტივთა შეხვედრაში პირველის უპირატესობა აშკარა იყო, თუმცა, სოხუმელებმა მაინც დაგვამახსოვრეს თავი, უმთავრესად სულავას წყალობით. მან თავის კოლექტივს 50 ქულა შესძინა და ბრწყინვალე სნაიპერული თვისებები გამოამჟღავნა.

**1. ივნისი. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)— საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 91:90 (47:53).**

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** კობეშავიძე (32), ფერიაშვილი (19), ჩერქეზიშვილი (17), შავლოხოვი (14), ლიპარტელიანი (6), დადიანი (3).

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი:** გიორგობიანი (31), ორმოცაძე (15), პეტრიაშვილი (13), გაბრიჩიძე (12), სანაძე (11), ცხვედიანი (5), ვაშაკიძე (3).

**1 ივნისი. „სინათლე" (თბილისი) — სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) 99:96 (54:49).**

**„სინათლე":** გურასპაული (21), სინჯარაძე (19), ბერიაშვილი (18), ქორქია (17), ძიძავა (14), ღონღაძე (10).

**უნივერსიტეტი:** ქართველიშვილი (24), ახვლედიანი (20), ტალაბაძე (16), რევაზიშვილი (16), ჯაფარიძე (12), ტურაშვილი (6), ქურდოვანიძე (2).

**1 ივნისი. ქუთაისი — სოხუმი 140:108 (70:65).**

**ქუთაისი.** ანდღულაძე (38), ხუჯაძე (29), დარსაძე (24), გოქსაძე (20), გუბელაძე (13), ხაბულიანი (6), წულაძე (5), ბუაძე (3), კანდელაკი (2).

**სოხუმი:** სულავა (50), ჭითავა (16), სუშჩენკო (15), პირველი (13), ჩუბინიძე (12), მოსკალიოვი (2).

გუშინწინ ჩემპიონატზე დასვენების დღე იყო, გუშინ კი თამაშები განახლდა.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 3 ივნისისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი | 24 | 21 | 3 | 45 |
| „სინათლე" (თბ.) | 23 | 19 | 4 | 42 |
| ქუთაისი | 23 | 18 | 5 | 41 |
| სპი (თბილისი) | 24 | 17 | 7 | 41 |
| ფიზკ. ინსტ. (თბ.) | 23 | 17 | 6 | 40 |
| სოხუმი | 23 | 12 | 11 | 35 |

# მეორე ეშელონი

სანამ პირველი ექვსეულის მონაწილენი ურთიერთობას არკვევენ, VII-XII ადგილებისთვის მებრძოლმა გუნდებმა ჩემპიონატი უკვე დაამთავრეს.

გთავაზობთ ბოლო ეტაპის შეხვედრათა შედეგებს:

„მართვე" (თბილისი) — „დინამო" (თბილისი) 81:66 (38:32) და 87:76 (40:42).

რუსთავი — ბათუმი 64:63 (30:28) და 76:59 (38:25).

რუსთავი — გორი 76:73 (40:36) და 85:71 (44:44).

„დინამო" (თბილისი) — რუსთავი 53:63 (16:38) და 71:79 (20:35).

**გათამაშების საბოლოო ცხრილი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7. რუსთავი | 26 | 13 | 13 | 39 |
| 8. ბათუმი | 26 | 10 | 16 | 36 |
| 9. გორი | 26 | 8 | 18 | 34 |
| 10. „მართვე" (თბ.) | 26 | 9 | 13 | 31 |
| 11. „დინამო" (თბ.) | 26 | 4 | 22 | 30 |
| 12. თელავი | 26 | 0 | 10 | 10 |

ამ ცხრილში მოცემულ მაჩვენებლებს ერთგვარი განმარტება სჭირდება. ჯერ რამდენიმე სიტყვა „მართვეზე". ეს გუნდი, როგორც ცნობილია, ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებისთვის ემზადება. ამიტომ ყველა შეხვედრის ჩატარება მან ვერ შეძლო. ბოლო ოთხი თამაში „მართვეს" კალათბურთელებმა გამოტოვეს. ჩემპიონატის დებულების თანახმად გუნდმა ამ მატჩებში 0 ქულა მიიღო, მისმა მეტოქეებმა კი 2-2. სწორედ ეს გახლავთ იმის მიზეზი, რომ „მართვეს" 26 თამაშის ნაცვლად 22 აქვს ჩატარებული.

გორის გუნდმა, როგორც ცნობილია ჩაატარა პირველი წრის ათი მატჩი, მერე კი გათამაშებიდან მოიხსნა. ათ შეხვედრაში მან ათი დამარცხება განიცადა და ამიტომაც აქვს გუნდს მხოლოდ 10 ქულა.

რესპუბლიკური ჩემპიონატის პარალელურად მიმდინარე ჭაბუკთა ტურნირის საბოლოო შედეგებს ჯერ ვერ გაგაცნობთ, ვინაიდან აქ კიდევ არის გამოტოვებული მატჩები. საბოლოო ცხრილს მკითხველს მაშინ შევთავაზებთ, როცა ეს შეხვედრები ჩატარდება.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

**თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 2 ივნისი.**

**რრკ „ელმავალი" (თბილისი) — „ზვეზდა" (ტაშკენტი) 18:16 (6:3).**

**რრკ: ი. ლეჟავა; ხვედელიძე, ჩიქვინიძე, თავაძე, გეგუჩაძე; ჭეიშვილი, გაბრიჩიძე; გიორგაძე, წიკლაური, მჭედლიძე, (ბაკურაძე, 49), ხუადე, გ. გიუნაშვილი, მონიავა (ნარიმანიძე, 81), ლუდუშაური, ბასილაშვილი.**

**„ზვეზდა": პოპოვი; ციგანოვი, პოტაპენკო, მატალიევი, კომაროვი; კულეშინი, მერედოვი; პერეპიოლკინი, ბელოგლაზოვი, კანახინი, ზიანუროვი, ბუდანოვი, გიზიმოვი (კრიუჩკოვი, 73), აჩილოვი, უტეშევი.**

**მსაჯი ვალენტინ ბახტიაროვი (მოსკოვი).**

**გოლები. რრკ: ლელო (3, ხვედელიძე); რეალიზაცია, 3 საჯარიმო (48, 59, 69) და არეკნი (66) — ლეჟავა. „ზვეზდა": 2 ლელო (56, კომაროვი; 82, პოპოვი); 2 საჯარიმო (27, 77) და რეალიზაცია (83) — პოტაპენკო.**

**უმაღლესი** ლიგის ახალბედა, ტაშკენტის არმიელთა გუნდი გუშინწინ თბილისს პირველად ეწვია. გამოუცდელობისა და არცთუ მაღალი კლასის მიუხედავად, სტუმრებმა შეუპოვრობითა და ბოლომდე ბრძოლის უნარით მაყურებელზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვეს. სამწუხაროდ, ამჯერად ამას ვერ ვიტყვით მასპინძლებზე, რომლებმაც, სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით მეტად საჭირო გამარჯვების მიუხედავად, აშკარად ძალზე ცუდად ითამაშეს.

ტაშკენტელებთან შეხვედრაში რკინიგზელებს შეემთხვათ ის, რაც წინა ტურებში „მშენებელსა" და „ავიატორს". მატჩის დასაწყისში „ზვეზდა" ვერ უწევდა წინააღმდეგობას გამოცდილ მეტოქეს და ანგარიშშიც ჩამორჩებოდა. ეს ქუთაისელებს, კიეველებსა და თბილისელებს ამშვიდებდა, თამაშისადმი ინტერესს უნელებდა. „ზვეზდამ", ცხადია, მშვენივრად ისარგებლა ამით — თუმცა ეს უფრო თბილისელთა „დამსახურებაა", რომ ერთი მატჩის მანძილზე ორჯერ ჩამოიტოვეს მეტოქე და შემდგომ ორჯერვე „დაიახლოვეს". კიდევ კარგი, ამ დროისთვის თამაშიც დამთავრდა, თორემ ნირწამხდარ მასპინძლებს მესამედაც მოუწევდათ ნებისყოფისა და ძალთა მოკრება, რაც, საბედნიეროდ, მათ შესანიშნავად შესძლებიათ.

მასპინძლებმა საზრიანად წარმართეს პირველი თხუთმეტი წუთი, როცა ტაშკენტელები საერთოდ უბურთოდ დატოვეს; მეორე ტაიმში გაუჭირდათ, მაგრამ თხუთმეტიოდე წუთით კვლავ ხელთ იგდეს ინიციატივა და 11 ქულითაც დაწინაურდნენ, მერე კი თამაშის სადავეები ისევ სტუმრებს გადააბარეს.

ერთი სიტყვით, ამ დღეს თბილისელები სათამაშოდ ვერა და ვერ განეწყვნენ. ამას ისიც დაემატა, რომ ამჯერად რკინიგზელთა შემადგენლობაში ერთბაშად ხუთ პოზიციაზე გუნდის მეორე ნომრები თამაშობდნენ, მათ კი ვერაფრით გამოიჩინეს თავი. მორკინალებმაც უსიტყვოდ წააგეს ორთაბრძოლა მეტოქესთან, განსაკუთრებით მატჩის იმ მონაკვეთებში, როცა ტაშკენტელები გვიტევდნენ. შუა სამმეოთხედელები უხეშად ცდებოდნენ დაცვაში, რითაც სტუმრებმა დიდებულად ისარგებლეს და ორი მშვენიერი ლელო გაიტანეს. თუ მასპინძლებმა მაინც მოიგეს, ეს მათი უფრო მაღალი კლასითა და გაჭირვების ჟამს ლიდერებისთვის დამახასიათებელი რაციონალური თამაშით აიხსნება. სწორედ ლუდუშაურისა და ჭეიშვილის ოსტატური დარტყმების ხარჯზე დაიბრუნეს რკინიგზელებმა დაკარგული ინიციატივა და თამაში თავისთვის ხელსაყრელ კალაპოტში გადაიყვანეს. სხვა მხრივ, თბილისელთა თამაშში საყურადღებო მხოლოდ ხვედელიძის რეიდები და ლეჟავას მიერ უმაღლეს ლიგაში გატანილი პირველი არეკნი იყო.

**ზაზა ფხაკაძე.**

• • •

**ხუთშაბათსვე** კიევში გაიმართა ლიდერების — ქუთაისის „მშენებლისა" და კიევის „ავიატორის" მატჩი. ისევე როგორც შარშან, ამჯერადაც ქართველმა რეგბისტებმა გაიმარჯვეს, და იმავე ანგარიშითაც — 6:3. ამ მოგებით ჩემპიონებმა კიდევ უფრო გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა. ახლა მათ 10 თამაშიდან 9 მოგება და 1 ფრე აქვთ და დამაჯერებლად ლიდერობენ.



**მონტევიდეო.** კალათბურთელ ვაჟთა ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი მოიგო ბრაზილიის ნაკრებმა, რომელმაც ფინალში პუერტო-რიკოს გუნდი დაამარცხა 101:92 (50:45). ამ ორ კოლექტივთან ერთად სეულში სასპარეზოდ გაემგზავრება მესამე ადგილის მფლობელი კანადის ნაკრები.

**სევილია.** მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში 3 კილომეტრზე რბენაში გაიმარჯვა მსოფლიო რეკორდსმენმა სტივ კრემმა (ინგლისი) — 7.45,45. ეს შედეგი წლეულს მსოფლიოში საუკეთესოა.

**ბოულდერი** (აშშ, კოლორადოს შტატი). მსოფლიო ჩემპიონმა მარათონულ რბენაში ქალთა შორის, პორტუგალიელმა როსა მოტამ პირველი ადგილი დაიკავა აქ გამართულ 10-კილომეტრიან გარბენში — 34.41.

**იუჯინი** (აშშ). ამერიკის სტუდენტ-მძლეოსანთა შეჯიბრებაში კევინ იანგმა წლევანდელ სეზონში მსოფლიოს საუკეთესო შედეგი გაიმეორა 400 მეტრიანი თარჯრბენის დისტანციაზე — 48,71.

**ლონდონი.** საერთაშორისო ველოტურის („ბრიტანია") მესამე ეტაპზე ჩეხოსლოვაკიელმა ვლადიმერ ბერკმა გაიმარჯვა. 88,7 კილომეტრი მან 22,47-ში დაფარა. ბერკი ლიდერობს სამი ეტაპის ჩათვლაშიც.

# თამარ ხუგაშვილის წარმატება

**ლენინგრადში** დამთავრდა პროფკავშირული საზოგადოების ქალთა ტრადიციული ღია ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელიც მსოფლიოს პირველი საბჭოთა ჩემპიონის ლუდმილა რუდენკოს ხსოვნას მიეძღვნა. ამ შეჯიბრებაში, ტრადიციულად, იწვევენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებსაც. ამჯერად ტურნირში მონაწილეობა მიიღეს თბილისელმა საერთაშორისო ოსტატმა თამარ ხუგაშვილმა და ოსტატობის კანდიდატმა თეა ლანჩავამ. გამოცდილმა ხუგაშვილმა კარგად წარმართა მთელი ტურნირი, დაუმარცხებლად იბრძოდა და მხოლოდ ბოლო ტურში, ალისა გალიამოვასთან შეხვედრაში მოეცარა ხელი. ამით ისარგებლეს მისმა უშუალო მდევრებმა და დაეწივნენ ლიდერს. საბოლოოდ ხუგაშვილმა 13 შესაძლებლიდან 8,5 ქულა მოაგროვა და ტალინელ პიარნპუუსთან, მოსკოველ გალიამოვასთან და მინსკელ ხოროვეცთან ერთად I-IV ადგილები გაიყო.

შეჯიბრებაში ძლიერმა მოჭადრაკეებმა მიიღეს მონაწილეობა და ამდენად, ეს ტურნირი კარგი სკოლა გამოდგა ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატ თეა ლანჩავასთვის, რომელმაც 5,5 ქულით დაამთავრა ასპარეზობა.

**ჭადრაკი**

## შესანიშნავი შედეგით

**ლენინაკანში** დამთავრებულ ამიერკავკასიის რესპუბლიკების უსინათლოთა საზოგადოების პირად-გუნდურ პირველობაზე 22,5 ქულით გაიმარჯვა სომხეთის ნაკრებმა. II ადგილზე გავიდა საქართველოს ნაკრები (ავთანდილ ქაჩლიშვილი, პეტრე კუჩეროვი, იოსებ მანგასარიანი და გივი ფარახელაშვილი) — 19,5 ქულა.

პირად პირველობაში შესანიშნავი შედეგით — 8 შესაძლებლიდან 8 ქულა ყველას აჯობა ავთანდილ ქაჩლიშვილმა. 7 ქულით II ადგილზე გავიდა იური ავეტისიანი, 6 ქულით III ადგილი ხვდა ჰაიკაზ სარქისიანს (ორივე — სომხეთი).

## გაიხსნა ოლიმპიური სოფლები

**სეულში** გაიმართა საზაფხულო ოლიმპიადა-88-ის მონაწილეთა (13600-ადგილიანი) და ჟურნალისტთათვის (6096-ადგილიანი) განკუთვნილი ოლიმპიური სოფლებისა და გადახურული საცურაო აუზის გახსნის ცერემონია. ეს ნაგებობანი აშენდა 18 თვეში. დღეისათვის დამთავრებულია ყველა ოლიმპიური ობიექტის ავება. ცერემონიას ესწრებოდა სოკ-ის პრეზიდენტი ხ. ა. სამარანჩი.

# ნატალია ზვერევა— შტეფი გრაფი

**პარიზი.** საფრანგეთის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატზე ერთი მოულოდნელი შედეგი მეორეს ცვლის, მაგრამ ტურნირის მთავარი სენსაცია ალბათ მაინც მსოფლიოს № 1 ჩოგბურთელის ივან ლენდლის (ჩეხოსლოვაკია) მარცხია მეოთხედფინალში. მას შვედმა იონას სვენსონმა აჯობა, თანაც სამ პარტიაში — 7:6, 7:5, 6:2.

ვაჟთა ნახევარფინალების პირველი მონაწილე კი მეორე შვედი მატს ვილანდერი გახდა, რომელმაც მოუგო ესპანელ ემილიო სანჩესს — 6:7, 7:6, 6:3, 6:4. იგი შეხვდება ახალგაზრდა ამერიკელს ანდრე აგასის (ამ უკანასკნელმა არგენტინელი გილერმო პერეს-როლდანი დაამარცხა — 6:2, 6:2, 6:4).

მეოთხედფინალის შემდეგ გამოეთიშა ტურნირს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ანდრეი ჩესნოკოვი, რომელიც ფრანკ ანრი ლეკონტთან დამარცხდა — 3:6, 2:6, 6:7.

ქალთა ტურნირში უკვე ცნობილია ფინალისტთა ვინაობა. საფრანგეთის ღია ჩემპიონატში ბრწყინვალედ ასპარეზობს მინსკელი ნატალია ზვერევა. ნახევარფინალში მან ავსტრალიელ ნიკოლ პროვისს სძლია (6:3, 6:7, 7:5) და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

ზვერევას გადამწყვეტ შეხვედრაში ერთობ მრისხანე მეტოქე ეყოლება მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელის შტეფი გრაფის (გფრ) სახით, რომელმაც მანამდე არგენტინელი გაბრიელა საბატინი დაამარცხა 6:3, 7:6.

მოზრდილთა ტურნირის პარალელურად აქ მიმდინარეობს იუნიორთა შეჯიბრებაც, რომელშიც კარგად გამოდიან უფელი ანდრეი ჩერკასოვი და კიეველი ნატალია მედვედევა. ისინი მესამე წრეში გავიდნენ.

## დღეს და ხვალ

**პროფკავშირთა თბილისის საქალაქო საბჭო ბაზალეთის ტბის მიდამოებში ატარებს მასობრივ ტურისტულ ღონისძიებას. შეკრება ბაზალეთის ტბასთან — დღეს 10 საათზე.**

## სპორტულ გაზეთზე

**ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 5 ივნისი.** ოქროყანის სპორტული ბაზა. **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ამირანი" (ოჩამჩირე).** დასაწყისი 14 ს.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 4 ივნისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** მოსკოვის დიდი რეგატა (აკადემიური ნიჩბოსნობა) — **21.15 (2);** საფრანგეთის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. ფინალური შეხვედრები — **1.20 (2).**

**საქართველოს ტელევიზია.** საქართველოს საფეხბურთო პირველობა — **14.55.**

რედაქტორი

**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10769